



ქრისტიანული საზოგადოებრივი

ფილიალური და სალიტერატურო-მეცნიერული

ფელიქსი მისამართი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9-3 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტის: თბილისი კლდე.

- ს ა რ ხ ე ვ ი:
1. ეროვნული უძღურება. — შალვა ჯ — ძისა.
 2. „სხალხო გაცეთი“ და ჩვენი დაწესებულებანი. — რ. გ — ესი.
 3. დაჯიშვილის მუხრანობა. — ალ. სარაჯიშვილი-სა.
 4. უკანასკნელი ამბები.
 5. რა სდება სთავად-აზნაურო გიმნაზიაში. — * * -სა.
 6. ზარტყელი თეთიუშება. — დ. კახიანი.
 7. ქართველები აჭყარეს, ქართველებს ჭერანს. — Legatus ისა.
 8. ზარიელის წერილი. — დ. ლ — ძისა.

ჩვენს რედაქციაში გამოთენილია ოთხი სურათი

== ცნობილ მხატვარ გ. ი. გაბაშვილისა.

„სალამო საქართველოში“, „ხვსურთა ბრძოლა“,

„კველი ივერიელი“ და „ქალი ყურძნით“. ==

მათი დაბეჭდვები მსურველთ შეუძლიანთ

უოველ დღე ღიის 11—2 საათამდის.

ეროვნული უძლეობა და მისი სამი სახე

II

სიტყვიერების ონტოლოგია ერთი სერიოზული პრობლემათაგანია, რადგანაც სიტყვიერება, როგორც რელიგია, არ არის აღმოცენებული მექანიკურ ცდათა ნიადაგზედ. დღეს თუ ვსარგებლობთ, მაგ. ისეთი ტერმინოლოგიით, როგორც „ქრისტიანული რელიგია“, „მაჰმადიანური“ და სხვა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სიტყვებით ვახასიათებთ რწმენათა სისტემას და არა იმიტომ, რომ თვით ზემოხსენებულ რელიგიებს—ჰყავდეთ თავისი ავტორი, ესევე სიტყვიერებასაც არა ჰყავს შემქმნელი პიროვნება. რელიგია-ანტიტეგრალობით მთლიანობაა რწმენის სფეროში და როგორც სისტემას, შეუძლია დასაბამი მიეცეს რომელიმე პიროვნების ზეგავლენით. სიტყვიერების ონტოლოგია, ამავე თვალთახრისით, ეკუთვნის მეტაფიზიკურ კატეგორიას და მის გარკვევაში მეთოდოლოგიურ საშუალებას სუსტი სამსახური შეუძლია გაგვიწიოს. ცხადია ერთი მხოლოდ, რომ სიტყვიერება აღმოცენებულია უმთავრესად სულიერ განცდათა ნიადაგზედ, ფსიხოლოგიურ სარჩულზედ, რომ მას საძირკვლად ედვა ადამიანის სოციალური ბუნება და აუცილებელი საქროება გრძნობათა გაზიარებისა. არც ერთ დროს და არავითარ პირობებში, პირთვებას როგორც ფსიხო-ფიზიოლოგიურ მთლიანობას, არ შეეძლო თავისივე მსგავს პიროვნებათა გარეშე მიეღო ყოველმხრივი და ნორმალური განვითარება, და ეს ძირითადი თვისება ადამიანისა იყო კიდევაც მიზეზი, რომ პიროვნებათა ურთიერთობაში აღმოცენებულიყოს საჭიროება ერთგვარი ფსიხიური კავშირისა მწუხარების და მხიარულებისა, ტანჯვისა ან ნეტარების გაზიარებისა და აზისათვის აუცილებელი შეიქმნა ნიშანი, სიმბოლო. სიტყვას თანა სდევს სახის ცვლილება, შეკუმშვა სახის კუნთებისა, დანაოქება პირის კანისა, თვალთა მხიარული ან მწუხარე მეტყველება, იმის და მიხედვით თუ სიტყვის ობიექტად რა არის მწუხარება თუ მხიარულება, და სიტყვაც იმდენადაა ლამაზი, რამდენადაც იგი სავსებით ახასიათებს ან სავანს, ან გრძნობას, რამდენად იგი შრეტავს თვით სავანის ან მოქმედების შინაარსს. სიტყვის კომპოზიცია, რიტმი, უნდა შეესაბამებოდეს

იმ გრძნობას-შთაბეჭდილებას რომელსაც ახდენს ჩვენზედ გარედან მოდენილი ძალა. ძნელია იმის ნათლად გარკვევა თუ რამდენად შეესაბამება სიტყვის კომპოზიცია თვით მოქმედების რიტმს ან შთაბეჭდილებათა სიძლიერეს, მაგრამ სიტყვასა და მის გამოწვევს გრძნობის შორის არსებობს ერთგვარი ჰარმონია; ამის მაგალითები ბევრია. როგორც ზევითა ვსთქვით, სიტყვიერების ონტოლოგიის გამოარკვევა და მისი მეცნიერული მეთოდებით გაშუქება თითქმის შეუძლებელია, რადგანაც იგი თავისებურ მეტაფიზიკურ კათეგორიას ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ მიერ აღებული საკითხის გასაშუქებლად ის ქეშმარიტებაც საკმარისია, რომ სიტყვიერება, არ არის აღმოცენებული რომელიმე პიროვნების მექანიკურ ცდის ნიადაგზედ, რომ იგი გამოწვეულია თვით ადამიანის სოციალური ბუნებით და მისი დასაბამი ღრმად არის ჩამარხული პიროვნებათა ფარული შინაარსის განვითარების ისტორიაში. უარის ყოფა ნებისა, მასისა ან პიროვნებისა სიტყვიერების შექმნაში, თავის თავად მიგვითითებს იმ გარემოებაზედ, რომ იგი ფსიხოლოგიური რეფლექსი არის შეუმცნებლად წარმოშობილი და ეს არც ისეთი შემცდარი აზრია. ხშირად ხდება, რომ სჯა-ბაასის დროს ნახმარ სიტყვას არა სდევს ასოციაცია, წარმოდგენა სათანადო ობიექტისა, ან და ხშირად გრძნობას, ჩვენში აღძრულს, ვერ ვნათლავთ რაიმე სახელით და რომ მექანიკას, ნებას, ძალა შესწევდეს ასეთ უხერხულობას თავიდან ავიცილებდით; მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ნების უძლეობა და რეფლექსის სისუსტე ულონდა გვხდის და არ გვაძლევს საშუალებას მთელ გრძნობათა რიგს, შესაფერი სახელი მოუძებნოთ. როდესაც გრძნობა სჭარბობს მის მიერ გამოწვეულ რეფლექსსა ამ შემთხვევაში სიტყვას, მაშინ უფრონი ვხდებით, და როდესაც სიტყვა სჭარბობს გრძნობას; მაშინ შედეგად მივიღებთ ყალბ პათოსს! ერთი სიტყვით, აქაც ისეთი თანაბრობაა, როგორც ესთეტიკაში, რომლის მიხედვით ფორმისა და შინაარსის თანახმობა სილამაზეა, შეუთანხმელობა კი—სიმახინჯე.

არა ნაკლებ ყურად საღებია მეცნიერებისაგან მიღებული ქეშმარიტება, შესახებ სიტყვიერების პირველ ყოფილ ფორმისა. უკვე დამტკიცებულია, რომ ლირიკა პირველი ფორმაა სიტყვიერებისა, რასაც ამტკიცებს ის გარემოება რომ, ლექსად ლოცულობდნენ უძველეს დროში დმერთთა წინაშე. მაგრამ ლირიკა ხომ განცდათა მუსიკაა, რომელიც ითხოვს

განხორციელებას ლექსის წყალობით, და ამ რიგად ფარული მუსიკა, უენო, ხორციელდება ხმათა მუსიკაში, მათ შორის დაურღვეველი თანხმობაა, სიმეტრია. მაგალითად, ჩვენ მიწის მუშა გლახ-კაცობაში ბევრი თემური ჩვეულებაა დარჩენილი, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ, ჩვენმა ხალხმა შექმნა საამდროვო პოეზია, რომლის ობიექტად მისი მარჩენალი მიწა აიღო და უკმა საკმევლად თავისი იმედი-უიმედობა, მწუხარება-მხიარულება, ტანჯვა და ნეტარება. ამ პოეზიაში ჩართულია მუსიკაც, საგალობელი მელოდია: სიმღერა მკისა და თოხნის დროს, ურმული, და სხვა; ყველა ეს ლექსები ეკუთვნიან განსაკუთრებულ ხალხურ პოეტურ ქმნილებათა ციკლს, რომელთა საკვირველ თვისებას ის შეადგენს, რომ შესაფერ მძაძობის გარეშე, მათ ეკარგებათ მნიშვნელობა. ამ ლექსთა კომპოზიცია, საუცხოვოდ არის შეზავებული მოძღვრლის მოძრაობასთან, ყოველი მისი რითმა შეეთანხმება მოძრაობის რიტმს; ყოველი პაუზა მუშაობის დროს აუცილებელი წინამორბედია პაუზისა თვით ლექსის რითმაში და მხილველის თვალწინ იშლება სურათი, თუ რამდენად შედღვლებულნი არიან ერთმანეთში ლექსი და მოქმედი პიროვნება და თითქმის სისხლის მოძრაობაც, გულის ცემაც ჰარმონიულად არის შეთანხმებული ლექსის ყოველივე სიტყვის რიტმთან. ძლიერ შორს წაგვიყვანს საკითხის უფრო ვრცლად დახასიათების სურვილი და ამისათვის შევჩერდებით უკვე მოყვანილ მაგალითებზე. სად უნდა ვეძიოთ იმპულსი ხალხური ლირიკის შექმნასა? პიროვნებათა შექანიკურ შემოქმედებათა ცდაში, თუ ფსიხოლოგიურ განცდათა სფეროში? ცხადია, ამ უკანასკნელში, რადგანაც, ვიმეორებთ, ყოველივე სიტყვას წინ უსწრებს გრძობა-შთაბეჭდილება, გამოწვეული რაიმე ძაულის ზეგავლენით, რომელიც ითხოვს განსახიერებას, და სიტყვა მისი ხილული სახე არის, მით უფრო ქვეშაირიტი და ნამდვილი, რაც უფრო სიტყვის რიტმი და კომპოზიცია შეესაბამება და უახლოვდება გრძობასა და შთაბეჭდილების კომპოზიციასა და რიტმს. ლირიკა, ლექსი კიდევ გამმა მთელ რიგ გრძობათა.

შექანიკა სიტყვიერებაში იგივე არის, რაც ფორტოგრაფია მხატვრობაში: სუსტი, უძლური ფარული ფერადთა და ხაზთა ჰარმონიულ შეთანხმების გადმოცემაში. სიტყვა შედგება გრძობისა, მისი მუსიკალური გამოძახილი და მთელი ერის სიტყვიერება კიდევ მისი უულრმესი შინაარსის დამკანონებელი.

არა ნაკლებ საკამათო და ბუნდოვანია საკითხი იმის შესახებ თუ, რა მიზეზით მოხდა საერთოდ სიტყვიერების ჯგუფებად დაყოფა, განცალკევება, ძირითადი მათი ცვლილება. დღეს არამც თუ მთელი დედამიწის თვარულწვდენელ ზურგზედ, არამედ ძლიერ განსაზღვრულ სერცხედაც სცხოვრობს რამოდენიმე ეროვნული ჯგუფი, რომელთა სიტყვიერებაში, ენაში, გარდა უმნიშვნელო ერთი მეორეზედ გავლენის ნიშნისა, არავითარი მსგავსება არ არის, მაგრამ იმის მიზეზით რომ ჯერ ერთი ბევრი რამ ხელს არ გვიწყობს და მეორე, რადგანაც ჩვენს პირდაპირ მიზანს არ შეადგენს ერთა დიფერენციაციის საკითხი, არ შევჩებებით ენათა სხვადა სხვაობის წარმოშობის ისტორიას, ვიტყვიტ მხოლოდ რომ, ენათა სხვა და სხვაობა ბევრით იყო დამოკიდებული იმ ეტნოგრაფიულ პირობებზედ, რომელშიაც განვითარდა და გაიზარდა ესა თუ ის ერი. რა თქმა უნდა, გარეშე ეტნოგრაფიული პირობებისა სხვა ბევრი მიზეზიც უწყობდა ხელს ეროვნულ დიფერენციაციის პროცესს, მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით დავკმაყოფილდებით იმის განმარტებით თუ რა გავლენას ახდენდენ, ბუნებრივი პირობები სიტყვიერების შექმნაზედ. როგორც, ვსთქვით, სიტყვას და სიტყვათა კავშირს წინ უძღვდეს გრძობა-შთაბეჭდილება, რომელიც ახასიათებს და თვითხასიათდება სიტყვით, მაგრამ შთაბეჭდილებათა გამოწვევი მიზეზები სავესებით პიროვნების ფარულ არსში არ თავსდებიან და პიროვნების გარეშე მყოფ მიზეზებსაც თავისი გარდუვალი მნიშვნელობა აქვთ გრძობათა გამოწვევაში. ლამაზი პეიზაჟი მხილველის გულში იწვევს აღტაცებას, სიხარულს, ნეტარებას. წყნარი, მშვიდი ზღვა, ოცნებას და იდეას სიძლიერისას, შემოდგომის ჟამს გაფტქვნილი ტყის ხილვა იწვევს მწუხარებას, მოწყენას, იდეას სიკვდილისას, სიღარიბისას; ერთი სიტყვით, ჩვენს გარეშე გაბნეულ ობიექტების ხილვას თანა სდევს ჩასახვა მთელ რიგ გრძობათა და წარმოდგენათა, რომლებიც ინაკვთებიან შემდეგში სიტყვის საშუალებით, რადგანაც სიტყვასა და გრძობას შორის ჰარმონიული კავშირი არის. „ნელად მოღვლავს, მოღვლენე მეტყვარი ანკარა, და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა“ ან და „მობის არავგი არავიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანი“, თვით ამ სიტყვათა მუსიკა -- „მოღვლენე“, „მოღვლავს“, „ანკარა“, „თან მოსძახიან მთანი ტყიანი“, საკმარისი არის, რომ სურათი ცოცხლად გამოისახოს ადამიანის თვალწინ, იმდენად აღებული თითოეუ-

ლი სიტყვა განმარტებაა ცხადი და უტყუარი, საგნის თვისებისა. განა ამ ლექსებში არ იხატება მთელი განუზომელი სიძლიერე ეროვნული ენის თავისებურობისა? განა სტიქია შთაბეჭდილებისა არ ეთანხმება ენის სტიქიას? და რატომ ხდება ეს, თუ არ შთაბეჭდილებისა და მის გამომხატველ ფორმის შორის მკიდრო მთლიანობისაგან! შოთას განუზომელ გენიოსობის, მის ზღვა გრძნობის; ღრმა აზროვნებისათვის საჭირო იყო სახელდობრ ქართული ენა, რომ მასში ჩასახული სახეები, გრძნობანი, მაღალ ფორმებში ჩამოყალიბებულიყვნენ.

რომ გრძნობამ ტანი შეისხას, ხილული შეიქმნეს, ამისათვის საჭირო არის პროცესი, რომ ობიექტი გრძნობის გამომწვეველი და თვით გრძნობა შესდულდნენ, შესისხლხორცდნენ და ამ საკვირველ შეერთებიდან იშვას მათი სიმბოლო — სიტყვა; და ამ აუცილებელი პროცესით იხსნება ის, რომ ყოველი ერის სიტყვიერება დაუსაბამ-დაუსრულებელ ცვალებადობას განიცდის. მთელი ერის სულიერი სიდიადე, სიღრმე შემეცნებისა და სიძლიერე შემოქმედებისა, სავსებით დამოკიდებული არის იმაზედ, თუ რამდენად ენა, წარმოშობილი მისი შინაგანი მოთხოვნილებით, შეთანხმებულია იმის ფსიხიურ ცხოვრებასთან. ენას არა აქვს კლასიური სახე და არც რომელიმე სოციალურ კლასსა აქვს თავისი საკუთარი ენა, იგი თანაბარი კუთვნილებაა ერთისა და მეორისა. არავითარი საკაცობრიო ინტერესები არ მოითხოვენ ენათა თავისებურობის მოსაზრებას, რადგანაც ეს დარღვევა იქნებოდა იმ კანონისა, რომელზედაც არის დამოკიდებული ყოველი ერის ნორმალური და ყოველმხრივი განვითარება. ტყუილად სცდილობენ იმის დამტკიცებასაც, რომ კაპიტალი, რომელმაც დაარღვია გეოგრაფიული საზღვრები. ვითომ არ დაინდობს არც ეროვნულ თავისებურებას, რადგანაც ისტორია ცხადად მოწმობს, რომ ეკონომიურ დაბალ საფეხურიდან უფრო მაღალ საფეხურზედ გადასვლას თანა სდევს ეროვნებათა თავისებურობის განმტკიცება, რის მაგალითებსაც საკმაოდ იძლევიან ეკონომიურად წინ მდგომი გერმანიელები, ფრანგები, ინგლისელები და სხ. ესეც რომ არ იყოს, კაპიტალიზმს არა სდევს ანტიეკონომიური ტენდენცია და თუ გინდ რომ სდევდეს კიდევ; ნუ თუ მარტო კაპიტალიზმით ღასიათდება დღევანდელი კაცობრიობის ყოველ-მხრივი არსებობა? ენა რომ მკვანეკურად შეძენილი იყოს, იმის დაკარგვა არ დააზიანებდა ეროვნულს ტანს; თუ გინდ მხოლოდ იმიტომ რომ ორგანიული კავშირი

არ ექნებოდა მასთან, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ, როგორც ზევითა ვსთქვით, ენა არ არის შედეგი კერძო პიროვნებათა ცდისა არც სხვისაგან შეძენილი საშუალება; იგი შინაარსია ერისა და მისი ფსიხიური სახის სიკვდილი მაშინ იწყება, როდესაც ენასა ჰკარგავს, იმის შემოქმედებითი უძლეურება ხსიათდება ენის წაბილწვით და დაკნინებით.

„რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს....“

შალვა ჯ — ძე.

„სახალხო გაზეთი“ და ჩვენი დაწესებულებანი

უკანასკნელ წლებში „სახალხო გაზეთი“ თითქო ჩვენი საზოგადოების „ოფიციალური“ იქცა და ოპოზიციონერობის მაგიერ, ყველა საზოგადო დაწესებულებაში იცავს მმართველობის პოზიციებს. ეს ფრიად სიმპტომატურია, რადგან ამ უამად ყველა დაწესებულებაში თბილი და საპატიო აღკვირბიც მათ „თანამგრძობთა“ ხელშია და თავისი თავის კრიტიკა პრაქტიკულ, ტაქტიკურ და ანგარების აზრსაც მოკლებული იქნებოდა... რა უყოთ, რომ ამით მისი იდეური ოპოზიციონერობა იჩქმალება და ყველა საქმის სიდუხჭირეს იგი ხელს აფარებს.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. შარშან წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ყოველ კრიტიკის გარეშე იყო, რადგან მთელი მისი ნამოქმედარი იმდენად აბნეული წარმოგვიდგა, იმდენად სულ უბრალო შეკითხვაზედაც არ იძლეოდა პასუხს, რომ თვით გამგ. წევრებს ერთმანეთის არა ესმოდა რა. უკანასკნელმა გარემოებამ იქამდის მიიღწია, რომ თავმჯდომარემ განაცხადა: «ამისთანა გამგეობასთან მე მუშაობა არ შემიძლიანო» და „სახალხო გაზეთმა“, როგორა გგონიათ, რა აღნიშნა კრების შესახებ: გამგეობა დიდი მოხსენებებით და საქმის ცოდნით მიდის ხოლმე კრებებზედ და კრების წყალ-წყალა ორატორები კი საქმეს აფუჭებენო. იმიტომ გახდნენ გამგენი მცოდნენი და ოპოზიცია წყალ-წყალა, რომ დღეს სახალხოელები შეადგენენ გამგეობას და ოპოზიციას, რა-სახალხოელები.

ასევე იყო რასაკვირველია სათავად-აზნაურო გიმნაზიის კრებებზედაც. გარეშე მდგომს, ობიექტიურს ადამიანს თვალში შეეჩხირებოდა ის უნუგემო მდგომარეობა, რომელშიაც ჩაცვიფდნენ სყო

ლის ხელმძღვანელნი, რომელთაც სულ უბრალო საკითხებიც კი ვერ გამოერკვიათ და როგორც უფლოს შეპალაღადებდნენ თავად-აზნაურობას: ის მოგვეცემა, ის გვიშველის და თვითონ კი ხელი არ გაუძრევიათ საქმისათვის... ამაზედ „სახალხო“ ?) დაბეჭდა ასეთი საზოგადო აზრი, რომელიც რუსები რომ იტყვიან: НИ КЪ ЧЕМУ НЕ О'РЯЗЫВАЕТЬ: კრიტიკა კი არ არის საჭირო, არამედ სიყვარულით დახმარება; და მოსიყვარულე დახმარება იმაში გამოიხატა, რომ იგივე „თავისიანების“ პოლიტიკა გააშფოვეს, რის შედეგები წრეულაც დაეინახეთ

წრეულ „სახალხო გაზეთი“ იმეორებს თავის ტრაფარეტულ სიტყვას: „ქართული გიმნაზია საჭიროობს მოსიყვარულე ადამიანის მეგობრულ, დარბაისილურ დახმარებას და ჩვენც ღრმათა გეწმას, რომ ქართველი საზოგადოება გამოსძებნის ასეთს ადამიანებს“, კიდევ სიყვარული და დახმარება იმ გამგეთ, რომელთაც სიკვდილის პირს მიიყვანეს ჩვენი საერთო ამა მათერ... ეს სიტყვით, და საქმით კი... საზოგადოებამ (?) ეძებოს მოსიყვარულე ადამიანები და მოსიყვარულე ჯორჯაძე-გოგოლაშვილებმა ზიდონ უღელი მოსიყვარულე მდივანებთან ერთად, რადგან შინაურობაში, სიყვარული სკოლისადმი, შეიძლება შეეცვალოთ ხოლმე სიყვარულით „თავისიანებისადმი“.

მაგრამ ესეც არ იყოს, „სიყვარული“, „მხარის დაქვრა“, „მეგობრობა“, — ეს განყენებული ცნებანია და კონკრეტულად არსებულ სკოლას კონკრეტული ზომებითა სჭირია, დახმარება და არ შეიძლება ერთხელ მაინც წამოსდეს „სახალხო გაზეთის“ თუ რა ხასიათისა უნდა იყოს და როგორ მიმართული ის ცვლილებანი, რომელნიც სჭირია ჩვენს გიმნაზიას ისევე, როგორც ჩვენ სხვა დაწესებულებათ.

გადავიდეთ ახლა ბანკზედ. წრევეანდელმა კრებებმა დაამტკიცეს არამცთუ მოუშადადებლობა რწმუნებულთა კრებისა საქმეების ცოდნაში, არამედ, რაც უფრო სავალალოა, სრული მოუშადადებლობა ბანკის ხელმძღვანელებისაც; მაგრამ „სახალხო გაზეთი“ უკანასკნელს გზას უქცევს და კრების ოპოზიციას ატებს მესხა. რასაკვირველია, ჩვენ ვერ გამოვალთ დამკველებად იმ ოპოზიციისა, რომელიც სიტყვების რაზმ-რუნით ჰფარავდა საქმის უცოდინარობას, მაგრამ „სახალხო გაზეთის“, როგორც ეტყობა, აბრუნდი მოხვლია: უმეტესობა ამ მორახარუნე ორატორებისა — მათი „თანამგრძობელნი“ იყვნენ; და თუ ისინიც არ დაინდეს, ალბად მეტად დაჯაბნუ-

ლები არიან სახალხოელნი საქმის ცოდნის და იდეის მსახურების გარეშე მდგომ პირობებით, რომ ასე ხელს აფარებენ ბენკის ხელმძღვანელთა სისუსტეს. ეს პირობები იგივეა, რაც სკოლაში, წ. კ. გ. საზოგადოებაში და ყველა სხვა დაწესებულებაში: ან საპატიო, ან თბილი ადგილები, ან სხვა ანგარება; იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც გამოაცხადეს სახალხოელებმა არ. ჯ — შვილის პირით არჩილ ჯორჯაძის ცხოვრებიდან გასვლის შემდეგ: ყველგან და ყველა დაწესებულებაში უნდა დაეკავოთ ადგილები, რომ ცხოვრებაზედ გავლენა ვიქონიოთ. და აკი ვხედავთ ამ გავლენის მკერმეტყველურ შედეგებს.

რომ ბანკის მაგალითი ცარიელ სიტყვად არ გეჩვენოთ, მოგიყვანთ მოკლედ, მომხდარ „აზრთა გაცვლისას“, კრებისა და ხელმძღვანელთა შორის. იმ მრავალ საკითხთა და შეკითხვათა შორის, რომელნიც აღიძრნენ კრებაზედ, „სახალხო გაზეთმა“ ამოგლოჯა მხოლოდ ერთი: რატომ აღრე არ იბეჭდება ანგარიშები და მოხსენებანიო. ეს შეკითხვა სრული სამართლიანია, რადგან მისი მიზეზი ის გულგრილობაა, რომელსაც გამგეობა იჩენს ყოველწლივ: ანგარიშებს დროზედ არა ბეჭდავს და არ უგზავნის გასაცნობად რწმუნებულებს. მაგრამ საყვედური ამ შეკითხვაზედ, გამგეობის მაგიერ, „სახალხო გაზეთისაგან“, მიიღო კრების იმ წევრმა, რომელმაც ეს შეკითხვა შეიტანა... იმიტომ რომ იგი სახალხოელი არ იყო. ეს მკირედი, ახლა დიდ საკითხებში.

გამოირკვა მაგალითად, რომ აღმოსავლეთ-კავკასიაში არამცთუ არა მატულობს გირავნობათა ჯამი, არამედ კლებულობს კიდევ; გამოირკვა რომ განჯა-ერევნის გუბერნიები იმისდა მიუხედავად რომ იქ მეურნეობა დღითიდღე ინტენსიურ ხასიათს იღებს და ბევრს ფულსა თხოულობს — ჩვენს ბანკს არაფერი არა აქვს გაცემული და ამაზედ გამგეობა ასეთს პასუხებს იძლეოდა განუმარტებლად: რა ვქნათ, კლებულობსო, რა ვქნათ, ალბად ფული არ უნდათ და არცა თხოულობენო.

თუმცა ზედამხედველ კომიტეტს თავის მოხსენებაში ნათქვამი აქვს, რომ ბაქოში საჭიროა განყოფ. განხნა, თუმცა შ. მესხიშვილმა ისიც ბრძანა, რომ ბაქოს აგენტურა გროშად არა ღირსო, თუმცა კრებისაგან ისიც გამოითქვა, რომ განჯა-ერევანში საჭიროა ვიყოლიოთ აგენტები, დამუასებლები და სხ. მაგრამ გამგეობა ბატონ თავმჯდომარის პირით, მარტო ილიმბოდა და დასაბუთებულ პასუხს არაფერზედ იძლეოდა.

დასაბუთებული პასუხი მარტო ერთ შემთხვევაში გავიგონეთ: როცა შეეკითხნენ და უსაყვედურეს გამგეობას, ჩვენი გირავენობის ქალაქები რად ეცემიან ფასშიო, ან რატომ საზოგადოთ არ იზრდებიან თვალსაჩინოდ ოპერაციებიო, მან უპასუხა: ეცემიან და რა ვქნათ, და რაც შეეხება ოპერაციების ზრდასაო, ვის მოვახვიოთ ჩვენი გირავენობის ქალაქები, როცა მათ ეხლა შპალერის ფასი აქვთო. ეს გახლდათ **ახსნა**.

აი ასეთს და სხვა მნიშვნელოვან ნაკლებს, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენს ერთად-ერთ ძირითად ეკონომიურს დაწესებულებაში და რომლებზედაც შემდეგ წერილში მოგახსენებთ, „სახალხო გაზეთი“ ყურადღებას არ აქცევს და პირიქით უკუიჩენებს ოპოზიციას: უაზრო შეკითხვები რად შეგაქვსო.

რ. გ.

თავადიშვილის მეურნეობა ამ ასის წლის წინად ¹⁾

დავით თარხნიშვილი თავის მეორეხელში იმასაც არ იგეგმებს რაც სასამართლოებში სიარულით ჯაფა გაუწევია და ხარჯი მოსვლია.

ი. ქ. როგორც ამ მართებლობაში, ისე მეფეთ დროიდან, უოველს საჩივარში მე მქონებია მოსვლელობა და (ჩემს ძმებს?) არ მოუხვამთ ერთი კვადში. და თუმცა უწინდელს ჟამში მაგდენი ხარჯი არა იქნებოდა რა, გარნა აწ ცნობილ არიან უოველნი, რომ გორსა და ქალაქს სიარულს რა ხარჯი მოუნდებოდა ჩემისთანას კაცს. ზირველს მამულის საჩივარში რაც დამხარჯვია ან შალი, ან თუთრი და ან ხალიჩები, — ჩემს საკუთარს თავზე დანახარჯს გარდა, — ან მწერლისთვის, ან მუარზისთვის, ერთ კვადში ვიტყვი, ნივთუბითურთ, თარმეტ თუმანს, დიდათ მცირედ.

ლ. ქ. ქალაქს ორჯულ დაიდვა ჩემი საკუთარი თუთრი ახელედიად: ერთხელ თითხმეტი თუმანი და მეორეთ ოცდახუთი თუმანი.

ი. ქ. ჩუკბ (1822) წელს აქეთ მოუწვევტელ არის ჩემი სასამართლოს ადგილს სიარული, შრომა და ხარჯი. იქნება კიდევ დახარჯული საოჯახოთ, რომლისაც თქმა გაჭირდება, თუთხმეტ თუმანდინ.

რ. ქ. გარდა ამისა ოცდაორი წელიწადი არის ჩე-

მისთანა კაცის სასამართლოს ადგილს სიარული. აღრიცხეთ, ბევრს ნუ იტყვით, საშის და ოთხს კაცზე და ხუთს ცხენზე ნაკლები არა მუოლია. ამისთვის ოთხი წელი გამორიცხეთ და შესუთედი დააქენეთ, ოთხი წელიწადი მაინც დადგება. ჭეშმარიტად ვიტყვი, რომ შეიდი თვე ტიშევის (რტიშევის) დროს თბილისში თითო ოქრო შეხარჯებოდა. რადგან შეიდი ცხენიც შეუწდა და იმ გზობით არ დაბოლოვდა საქმე და დღეში რომ ჩვენებურებ აღურიცხო, მასათზე ნაკლები არ დამხარჯებოდა, მცირეს ვიტყვი, წელიწადში ოცდახუთმეტი თუმანი და ოთხის წლისა შედგება ასობრთი თუმანი. ჩემი ჯამკირიც ამას უნდებოდა და რასაც სხვას ვმოთბდი, ისიც ამისვედ შეხარჯებოდა.

ქ. რაც ოჯახის საქმეზე და ემის საქმეზე ან ერთ თუმნობით, ან წვრილად, ან ღერბთვის ქალაქზე და ზრისტოვის ქალაქზე, და თუ ვისთვისაც მიმიღია რამე, იმისი აღრიცხვა არ შემიძლიან და არც განვაცხადებ. ჩემი ძმების სინიდასმა იცის.

ქ. ჩვენი მამულის წიგნები რაც დასამოწმებელი იყო, მე იმერეთს ვიყავ მთავრობისაგან გაკზანელი, და უხემთ არც ერთმა ძმამ არ შეატანა. თუ ჩემს ძმას (რომელს?) ზოლიდით არ მოეთხოვნა, ვეღარც კი შევიტანდი. ოთხას წიგნადინ გადავარჩიე, თავისის რიცხვებით ღერბის ქალაქებზე დაგსწერე და შევიტანე. რაც ამისე შრომა მოვიდე, ჩემმა ძმამ დიმიტრამ იხილა. ჭეშმარიტად, თვალეები იმითი წამიხდა.

ქ. გვაროვნებისა და შთამოების ხის შეტანა იყო, და უშრომლად არც ეს იქნებოდა. მე შევიტანე, რომ არც ერთს არ შეუტევია, დიმიტრის მეტსა. და თუ დახარჯვია რა ამისთანაში ხელს უველას ეტლინებს ან ღერბის ქალაქი და ან სხვა.

ქ. ზემოთ რომ სწერია, მამიქების დროს თექვსმეტი კომლი კაცი დამხვდა ახალქალაქს. იმათში ორი ამოსწედა, ხოლო ცხრანი გაურით მოემატნენ და ამოგანნი სამი კომლი ერთაწმიდას იდგნენ. და მე გაველ ჩემის სახლიდან ჩუბ (1802) წელს და ჩემს ძმებს დაუტდე სამოდდა ხუთი კომლი კაცი მარტო ახალქალაქში, კავთისხევისა, თელად გორსა და ერთაწმიდას გარდა. და ნახატევი ათას რგასს სამს წეღას ავაშენე, რომ ის ამ რიცხვში არ ურეგია. და ამ სამოდცახუთ კომლს რომ ვამბობ, შიგ ირიცხებიან შემევიდრეინც და მოყვანილიც.

მ. ქ. ამავე ჩემი გასვლის წელს დაუტდე ჩემს ძმებს ზვარი და ბაღი, შიგ ზვარში შემკობილი ჩარდახ ქულიფრანგი, რომელზედაც დამხარჯვა ოცდახუთი თუმანი.

ქ. ამავე ზვარში ოთახი კარგი და ბოსელი გუთხე-

¹⁾ იხ. „კლდე“ № 20 და 21.

ულის, გუთნუელი თავისის მეხრით. ორი ხედი გუთ-
ნის იარაღი ღკედებით და სხნისებით, სკკუთლებით.

ქ. შვიდას-რვაასი კოდი ზერი მეტ...

ქ. ქვევრები ღვინით სვასე. ეს თვით ლუარსაშპდ
იგის, რომ ბესართონმა იმ წელს ტანისამოსის ფასათ
ღვინო გამოშართვა. ის ღლე არის და ეს, რომ უმანი
ვის რას ემსახურებთან არ ვიცი, ღღარც მეორე წელს
გუთნუელი ჰქვანდათ, ღღარც გუთნის იარაღი. და ჰერე
ღაიწვეს შუერიღის გუთნებით ხვნა და თესვა და თუშცა
შუერიღის გუთნებით უწინაღ ვხნამღით, მაგრამ გუთნუე-
ლი ღღადათ შემწე იყო და არა თუ სხვის შემოკვანიღ
მღღელნი იუვნენ, შემოუკანიღღ ღღარ შეინახეს.

ქ. ჩემს შინ ყოფნაში მკითრის სქორწიღღს მეტი
თუორი ემაში არ გავერიღა და არც ჩემს ღღროში არას
სსჭირობისათვის ხუთი თემ.ნი ჩვენს ემაში არ მომიკრე-
ფია, არც ჩემთვის და არც სხვისთვის, თვინიერ სარ-
წვევისა, რომელიღ თვით გღღებთ მიეღღემღღა.

ს. ქ. შემღღვამღ ჩემის გავსღღასა და მოფარობის
სამსახურის ყამს. როღღესაც ან სუღღში შევეღღ და იმერეთ
(ს) ვამსახურებოღღი, ღღაიწვეო თეთრის კრეფა ჩყგ (1803)
წელს თორმეტის თუშნიღღმ ოღ თუშნიღღინ, ოღღღაათმ-
ღინ, და ომ.მოცსა და სამოღ თუშნიღღინ, თვინიერ სს-
ჭორწიღღასა, (ღოტას?) ვიტყვი, რომ შეღღეს ორას
თუშნიღღინ.

ქ. ღღაწვეს ცხენების წართმევა გღღებთ სრუღღად,
რომელიღ ლუარსაშპს ეღღღინება ვის რამღღინი წაურთმე-
ვია. ამსთან სხვა და სხვა რიგი შეწუხება და ჩნღღინენ
ვღღს ქვეშ, რომელიღ მე ღღარჩი უსარგებლო უშისგან
და აწ გავშიღღღღღღინი და ვღღით სავსენი უნდა მომეტეს
ესოღღინის ღღაწვეღის მოქმედსა. მოსამართლეო გავნიღღათ
თუ აშაში მერგებოღღეს რამე და აგრეღღე ვიტყვი, მამის
ჩემის ღღროს ექვსი კოკა კულუხი არ აიღღებოღღა, მაგრამ
მე ასეთი შეღღავათი და მშვიღღობა მივეღღ, რომ რაც მე
ვენახები ღღავაკოთობენ, იღღებენ იმთავან ორასს კოკა კუ-
ლუხს და ზოგთ კიღღე გავაშარტასტეს შეწუხების გავმო.

ქ. ოთხი ხოღღახუნი გავმოფიღღანეთ სსჩივრით, და
სსმართლოთ. ვის მიუღღა შრომა მოიგიოთხეთ, თუ ჰირვე-
ღაღღე მე არ ღღაიწვე იმ ხოღღახუნების ჰოვნა.

ქ. მეორეთ ღღაიწვეს ამ მმართოეღღობაში, გავმოფი-
ღანეთ ოღ და თექვსმეტის ღღღის ხოღღახუნი, ღღაივრის ზო-
მით რომელიღ სამს ხოღღახუნად იხვნის.

ქ. ღღავარგული მამუღი რვა ღღღის გზინიღღიღღს
ღღაქღღამიღღეს ეჭარა და გავმოფაროვი.

ქ. ნოსტეს ჭკვრის ხუციშვიღღის მამუღი გავმოფა-
ჩენიუ და ღღავსღღე.

ქ. ახსენის მამუღი როგორ გავყავრეღღე და რო-
გორ გავმოფაჩენიუ, თვაღღით სხნს რაღღენს ღღღას ვი-
ღღებთ.

ქ. ოთხისის მამუღი ბეღღის ღღროსკე იმის კაცს გავმო-
ფაჩენიუ, რომღღისთვის ის კაცი მანძიღღა მეღღავით კოშ-
კე ჩამოჭკიღღა ბეღღამ, რათ ღღაწვერიუო.

ქ. ბატონმა მიუე ირაღღამ თელათგორი გვიბობა
ამ სხნით: რაღღგან ფარნაოზის წიღი იყო, სიგელში
ეწერა, ვიბობეთ, მაგრამ ფარნაოზსღ უნდა ვჭკითხოთო.
მეორეს წელს ფარნაოზმა წავგვართვა და ამისათვის მე
ფარნაოზს ვეახელ, სურამის ცინე რომ აიღო. ამ სსქ-
მეში მეოფობით სსყანი ბატონიშვიღღინღ მოვამღღურე და
შუოთსმად გავკერიუ, ამისთვის რომ თელაღღგორის ღღრ-
მატა მეორეთ მე ავიღე ღღემურნასღღში. *) ამსხედ რაღღ
ღაიხარვა შეიღღება სსხელღობ განცხადებას.

ით ჯ. ქ. ნოსტეს რომ აშენებღღენ, ამისთვის
მთხოვეს რომ სსხელმწიფოღ ღღინო ვიეიღო და მოიხმ-
რონ. ის ღღვისო თვით ჩემის ძმის ლუარსაშპის უწვევას
ქვეშე ღღეო მივეღ ჩემი სსკუთარი თუთრი ფუღი ცხრამე-
ტი თუშანი და რვა მანეთი, იმ ღღროს რომ ჯერ ჩემი
ცოღღღიღი ჩემს ქვეყანაში არ მომიუყვანა.

ამით თავღღება ღღავით თარხნიშვიღღის შემოღღანღემი.
მართლაც, სსკვირგული მხნეობა და ჰრატკიეული
ნიჭი გავმოიხინა ღღავით თარხნიშვიღღამ, რომ შესღღლო
ასეთის მიეოღღით შრომა სსხღღისა და ემა და მამუღღის-
თვას, მეტადღე იმ აშღღიღობის ღღროს, როგა ეოვეღი
ყანათი და მეურნეობა გავზირგებუღი იყო და მოგება
წართმევათა და აკღღებით — გაღღღღღღღღიღი და სსქები.

მთელის სსუკუჩის განმავღღობაში ღღაქღღეული სსხღი
და მამუღი თექვსმეტის წღღის ღღავითის ჩაუბარებია და
ღღაღღაღავას მომჭირნეობით თან და თან აუშენებია; მა-
შინღღღღის მეურნეობის სსაფუძეული და ძაღღა, — მიწა და
ემა, — შეუქნია და გავუმრავღღებია ვოვეღღგვარის ღღინისიღ-
ებით; აუგია და მოუწვეა სსხღღავარი; გავშენებია ბაღი
და ვენახი; გავმართავს მარნები, წინქვიღღი სსკირე, სსმ-
ღებოღ; როგა სსჭირო იყო სსსამართლოებში და სსხვა-
გან სიარული, ევეღღგან წამღღგარა დაუღღავს ოფანის ინტე-
რესები. ამღღენის ამავით ღღავით თარხნიშვიღღის თავისი სს-
ხღი იქამღღის მიუეყნია რომ სიმიღღღით იმისი სწორი
„გაიოღღამ მხარში“ არ იშოვებოღღა. და ამ ძნელს სსქემ-
ში ღღავით თავის ძმებისგან ხელისშეწოების მიკიერ მტ-
რებღღობის და გაფლანგვის მეტი არა უნახავს რა.

შესანიშნავია ღღავით თარხნიშვიღღის „ტკბიღღი ბა-
ტონ-უმობა“, რომღღითაც იმას ისე თავი მოაქვს. რასს-
კვირეღღა, ეს „ტკბიღღი ბატონ-უმობა“ მიისის კაცთ-
მოუყვარობისა და გულ ჩვიღღობისგან რაღღი წართმეღღე-
ნიღღა, ეს იყო მხოლოღ მისის ჰრატკიეული ჭკუის ან-
გარიში. როგორც გონიერი ჰატრონი კარგად უუღღის და
ზოგავს სსქანელს, რომ უფრო სარგებღღანად ამუშაოს,
ისე ღღავით თარხნიშვიღღი ტკბიღღად ემურობოღღა და კარ-

*) ბორჩალოში.

გად ინახავდა თავის უმებს, რომ უკეთ ემსახურნათ და უკეთესი „ხარჯის გამდებულნი“ გამხდარიყვნენ. თუკი დავით ისეთის დაჟინებით იმეორებს თავის „ტკბილ ბატონ-მობას“, სხანს რომ იპის დროსაც ეს უბრალო სემურსეთ ანკარაში ბევრს არ ჰქონია შეგნებული.

ასეთი იყო ცხოვრება და მოქალაქობა მინბაშის დავით თარხნიშვილისა.

*

მაგრამ მინბაშს ცხოვრება მარტო შეურნეობასა და სმასხურში როდი გაუტარებია. — თავის დროს თვალტანდასა და „ლამაზ ქონრიანს დათუას“ სიყვარულის უვალიდ. მოუკრეფია ამას ამხელს ერთი სსაშიგო ბარათი მისს ქაღალდებში ნახაფნი. ეს საიდუმლო ბარათი ერთი საცოდავო, ხელისგულის ოდენს, ქაღალდაც, იმდენჯერ შეკეტილი, რომ მასრაში ჩაუტოდა. ბარათი ხელმოწერულია და ადრესად აზის მსოღოდ ორი სიტყვა: „ჩემს ხელმწიფეს“, მაგრამ ხელსა და მარლოწერაზედ ეტობა, რომ მისი დამწერი ნასწავლი და ოჯახის ქალი უნდა უოფილიყო. ხელი და ქაღალდი მოწმობს აგრძევე, რომ ბარათი უნდა ეკუთვნოდეს მეთვარამეტის საუკუნის თხზმაციან წლებს, როცა დავით თარხნიშვილი იქნებოდა 20—30 წლის ჯაბუკი.

მომუჟავს ეს საუცხოო ნიმუში ძველებურის აშვიობისა.

„ჩემი გულის მიუცილებელი სტროფაც და სიხარული, ჩემო ხელმწიფევ!

ვიშ, შენი ჭირიმი! მე ასე ვფიქრობდა, რომ ჩემი მსკავისი უბედური ცას ქვეშეთ აღარავინ არის, რადგან თქვენგან მწყალბობის უამებო ვიყავ. ვიშ! რადგან ეს სიხარული მადირსე, სიტოცხლევე! რომ შემწიყაღა ჩემთვის უდირსი ბძანება შესმა, მამ ასე ვიტყვი, ქვეყანა ჩემია და სახრუნავი აღარა მაქვს რა. ჩემო დიდება, არ გეჭირებოდათ შენდობის თხოვნა. შენ ნუ მომიკვდე, ამაზე უფროც რომ მტანჯო, ჩემს გულს თქვენი მოშორება არ შეეძლოს. ეგება ამან კი დამაგრთოს არამც მომტებულის ერთგულებით და ტრფიალებით შეგაწუხოთ, სიტოცხლევე! ასი წელიწადი რომ ვიცოცხლო, თვალთ დასანახავთ რომ გეძებოდეთ, მაინც ჩემი გული ტრფიალია და რათ გინდათ ჩემი გამოცდა? ვაია, გენაცვალე! შენის მშეჩიერის თკადის ჭირი მე, ნუ მომიკვდე. შენ ნუ მომიკვდე, გონება აღარა მაქვს. რომ გავგიჟდე, ხომ ცოდვია! ჩეტა ერთი წაში მისცა ჩემს გულს მოსვენება, რომ თქვენთან არ იუფს და არ გმტრფოდეს! ჩემო სიხარული, თუ მადირსებ სიხარულს და გამბეღნიერებ, ამის უკეთეს დროს კვლავ ვეღარ დავახელებთ. მე ფანჯარასთან გახლდები, მობრძინდი, თავს

შემოგველე. არა აღამიანი არ არის, შენმა მსყმა, და არცა ვინ შეიტყობს. სანთელი ენთება, ამაზე ნუ დავრთებით. ვახშამს მე აღრე მოვტანინებ და ვინც ეს წიგნი მომატანა თქვენი ისევე გამოგზავნეთ და მოგახსენებ დროს და მობძინდი, შენი ჭირი მე. ჩემო ხელმწიფევ, შემწიყაღე! შენ ნუ მომიკვდე; გული მიყანკალებს. ასე ეტონია ტუელია და არ შედირსება თქვენი ნახვაც. ამისთვის მაინც იხებეთ, წიგნს გაჩვენებთ სისამოვნოს, სიტოცხლევე!“

ასე ამიკობდნენ ჩვენი დიდი დელები...
 ალ. სარაჯიშვილი.

უკანასკნელი ამბები

ამ დღეებში რედაქციას მოუვიდა მოსკოვიდან ექვსი თუმანი (60 მან.), შემდეგის წერილით:

„მოსკოვის ქართულ საზოგადოების“ გამგეობა, გიგზავნით ამასთანავე ექვს თუმანს, შეგროვილს ხელმოწერით საზოგადოების წევრებ შორის. ილია ქავჭავაძის სახლის გამოსასყიდათ, და უმორჩილესადა სთხოვს პატივკემულ რედაქციას ჟურნალ „კლდისას“ გადასცეს ეს ფული ილია ქავჭავაძის სახლის გამომყიდველ კომისიას.

სრულის პატივისცემით, ხაზინადარი დასახელებულ საზოგადოებისა: **ნ. ხორავა.**

რედაქციისაგან: ეს ფული უკვე გადაეცა კომისიას, რომელიც მადლობას უხდის მოსკოვის საზოგადოებას.

ქართლ კახეთის თავად-აზნაურობის კრება.

დღეს 11 საათზედ დანიშნულია საგანგებო კრება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა. განსახილველია საგნები:

- 1) 1913 წლის ანგარიშის განხილვა და 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
- 2) კახეთის რკინის გზა.
- 3) საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაცია.
- 4) მიწების შეძენა თბილისში თბილისისა და ბქოს მახრასში.
- 5) განსაკუთრებულ ფონდის დაარსება ახლო საქმისათვის (სანადელო ფულის 15⁰/₀-საგან).

თბილისის საად.-მამულო ბანკის კრებაზედ რწმუნებულებმა გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია

ები: მიენდოს ბანკის ზედამხედველ კომიტეტს, და გამგეობას რწმუნებულთა მიერ არჩეულ პირებთან ერთად:

ა) გამოიკვლიოს მიზეზები თუ რად შემცირებულია გრძელ ვადიან სესხების გაცემა აღმოსავლეთ კავკასიაში და რად დაცემულა ბანკის გირავენობის ქალაქდების კურსი.

ბ) მიღებული იყოს ზომები, რომ ქ. ბაქოში ყოველთვის ყოფილიყოს — დამფასებელი და, თუ საჭიროა ბაქოს აგენტურა გადაკეთებული იყოს ბანკის განყოფილებად.

გ) გამონახული იყოს ყოველ გვარი საშუალება, რომ ბანკმა გაუწიოს ბრძოლა ახლად მოვლენილ ძლიერ შეტოქეს „დონსკოი“ საადგილ-მამულო ბანკს, რომელსაც გორის მაზრაში დაუწყვია თავისი მოქმედება და სხვა მაზრებშიაც აპირობს გადასვლას.

დ) ეთხოვოს ქართლ-კახეთის თავად აზნაურობას რათა საჭირო ზომები მიიღოს, რომ „დონსკოი“ ბანკისთვის აკრძალული იყოს უკანონო მოქმედება და სესხების გაცემა თბილისის და ქუთაისის ბანკების რაიონში. ამ საკითხების გამოსაკვლევად და ზომების მისაღებად არჩეული იყო კომისია ნ. კაცისაგან — ი. ბარათაშვილის, პ. გედევანიშვილის, ა. ყანჩელის, შ. მესხიშვილის და ვ. დემიდოვისაგან.

სამწუხაროდ ყველა არჩეულნი მარტო იურის ტეზა აღმოჩნდნენ და მათ შორის არც ერთი ფინანსისტი. ასეთი ცალმხრივი არჩევანილდ საკითხების გამორკვევა-გამოსწორებაში ვერაფერი თავდებია რომ ბანკის საქმეებმა უფრო რენტენიური ხასიათი მიიღონ.

საინტერესო წერილი. გაზეთ „კავკაზის“ მე-118 ნომერში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ცნობილ სომხის შილვაწის გ. გ. ევანგულოვისა ამ სათაურით: „კავკასიის ადმინისტრაციული გადამიჯნა“. წერილი საერთოდ ეხება ამ საკითხს, რომელიც ამას წინად წამოაყენა ჩვენმა ჟურნალმა „ამიერ კავკასიის გუბერნიების გადამიჯნის პროექტის“ სახით.


წერილი ევანგულოვისა მეტად დიპლომატიურია, მაგრამ ნათლად გვიმტკიცებს იმას, რომ ჩვენ არ ვცდებოდით, როდესაც ვამტკიცებდით იმ „პროექტის“ სომხის სამზარეულოდან გამოსვლას. ბევანგულოვის სიმპატიებიც ამ „პროექტის“ მხარეს იხრება. თუმცა, ვიმეორებთ, ევანგულოვი მეტად

„სპარსულად“ უვლის ამ მწვავე საკითხს და დიპლომატიურ ენებებით, ხსენებულ პროექტს სცილობს სომხური ნაციონალური ელფერი ააშოროს.

მეტად სიმპტომატიურია, რომ ეს წერილი მოთავსებულია ადგილობრივ მთავრობის ოფიციალურში გაზ. „კავკაზში“. რას ნიშნავს ეს? მაგრამ ამ წერილს შემდეგში დაწვრილებით შევხებით.



არჩევნები სათავად-აზნაურო სკოლაში: თავმჯდომარის ამხანაგად დ. ჩოლაყაშვილის მაგიერ, რომელმაც უარი განაცხადა, ამოირჩიეს ექიმი გ. მაღალაშვილი. კომისიის წევრებად: ს. ბაქრაძე, ვ. ვაჩნაძე, ი. გამყრელიძე, ა. მირიანშვილი და სხ.



რა ხდება სათავად-აზნაურო გიმნაზიაში

წარსულ წერილში, ჩვენა ვწერდით, იმ გრძნობათა და ეინთა შეტყავეზედ, რომელიც აფორიაქებდა აკადემიურ ცხოვრების სასურველ წყნარსა და გონიერ მსვლელობას. დღევანდელ წერილში საჭიროდ მიგვაჩნია შეჩერება იმ საკითხებზედ, რომელთა გარშემო იყო ატეხილი ეს ზხამსი ბრძოლა და რომლებთანაც თითქო არაფერი კავშირი არ უნდა ჰქონოდა.

დავიწყით თუნდა იქიდან, რომ პედაგოგიურ საბჭოს და გამგე კომიტეტს, თითქო როგორც სიბნელის ქურუმებს, სურდათ განედევნათ სასკოლო-სამოსწავლო საქმეებიდან, — მოწაფეთა მშობლები; და ეს მაშინ, როცა თვით რუსეთში და თვით მთავრობისაგანაც კი აღიარებულია სასურველად და კანონიერად მშობლების უფლება პედაგოგიურ საბჭოში მონაწილეობაზედ.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ასეთი რეაქციონური ნაბიჯი და მაზედ გამოთქმული მშრალი, უარყოფითი რეზოლიუცია რითიმე დასაბუთებული ყოფილიყვეს ლოდიკურად.

ჩვენ მოწმენი გავხდით ერთის მხრით მშრალის განცხადებისა გამგეთაგან, რომ მათ „უარყოფით მოვლენად მიანჩნიათ“ მშობლების ჩარევა პედაგოგიურ საქმეებში და მეორეს მხრით ულოლიკო და შეურაცხყოფელი ახსნა ამ წინააღმდეგობისა მშობელთა მიმართ, რომელმაც ბ-ნ გ. ნათაძეს სიტყვებში ბარბაროსულ უდიერობამდე მიადწია. ბ-ნ პედა-

გოგს ჰკონია, რომ პედაგოგიურ საკითხებში არ არის ისეთი მხარეები, სადაც ყოველ მომავლედსაც შეუძლიან თავისი საღი მსჯელობა იქონიოს და დაავიწყდა ის გარემოება, რომ მშობელთა წრეში არიან და **ირჩევენ** ხოლმე უფრო მომზადებულ და ინტელიგენტურ ძალებს. ზოგჯერ იქნება უფრო ინტელიგენტურს, ვიდრე ის პედაგოგები, რომელნიც ამ ცნებისას მარტო სახელს ატარებენ. ბ-ნს ნათამდეს დაავიწყდა ისიც, რომ საღ გონებიანი მშობელი დაინტერესებულია არა მარტო საკუთარი შვილის საკითხით, არამედ საზოგადოთ პედაგოგიურ საკითხებითაც და განსაკუთრებით იმ სკოლაში, სადა... не все обстоит благополучно.

ჩვენ მივხვდებოდით ასეთ წინააღმდეგობის მიზეზს, როდესაც სკოლის საქმე იდეალურად იყვეს დაყენებული და უფიცი მშობელნი კი თავის ჩარევით საქმეს აფუჭებდნენ, მაგრამ როდესაც სკოლა იმ ხარისხამდე ჩამოწეული, რომ **აღარავის** აკმაყოფილებს, გარდა თვით ბ-ნთ პედაგოგებისა—მშობელთა მოსიყვარულე გული და თვალი იმის თავდები მიინც იქნება, რომ შვილებს არ დაუმახინჯებენ სასწავლებელში.

ბ-ნ ნათამდის სიტყვაზედ განგებ იმიტომ შევიჩრდით, რომ გულახდით მარტო იმანა ბრძანა **ერთად**, ჩვენი სკოლის მეთაურთა სულისკვეთება. იგი იმ აბსურდამდეც მივიდა რომ არითმეტიკული ანგარიში დაიწყო: მშობელთა წრეში თერთმეტი პირია და ყველას რომ ხმა მივცეთ, შეიძლება ისეთი მდგომარეობა შეიქმნეს, რომ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებს მარტო 10 პედაგოგი დაესწროს და მშობლებმა დასქარბონო. ჩვენ გავაკვირვა ასეთმა ანგარიშმა და ზოგმა კრებაზედვეც აღნიშნა ესა. თუ 50 მასწავლებლიდგან პედაგოგიურ საბჭოს მარტო ათი დაესწრობა, ალბად არც იქნებიან დაინტერესებულნი საქმით და ასეთი საბჭო დასაგმობია ერთის მხრით და მეორეს მხრით **მით უფრო მეტი საბუთია იმისათვის, რომ თერთმეტმა დაინტერესებულმა მშობელმა** დასჯაბნოს. ესეც არ იყვეს, რატომ უნდა ვიფიქროთ (თუ ბ-ნ ნათამდის შეხედულობას არ შევითვისებთ მშობლებზედ), რომ 11 მშობელი უთუოდ ანტი-პედაგოგიურ დასკვნას გამოიტანს რომელიმე საკითხზედ. და თუ მათ მსჯელობაში სიმართლეს და საღი პედაგოგიკის კანონები არ დაირღვევა, რატომაც არ უნდა აჯობონ იმ პედაგოგებს, რომელნიც თავის უგულლობით ჰქმნიან ისეთს მდგომარეობას, რომ მშობლები იძულებულნი გახდებიან—ჰკუა ასწავლონ. ესეც არ იყვეს, პე-

დაგოგიური საბჭო თუ კი მშობლებს უტოვებს უფლებას გამგე კომიტეტთან ჩივილისას, უფრო ადვილი არ იქნებოდა იმ შემთხვევებში, როცა ათი ბრძენი პედაგოგი დაინახავს, რომ თერთმეტი უფიცი მშობელი საქმეს აფუჭებს,—მოიწვიოს კიდევ ორიოდე კაცი პედაგოგიურ საბჭოსი და ხმის უმეტესობა მშობელთა—გაბათილოს?

მაგრამ, რასაკვირველია ასეთი დასკვნა პედაგოგებს ამაზედ არ მოსვლიათ, რადგან მათ უარყოფით მსჯავრში მშობლებისადმი ლოლიკას ადგილიც არა ჰქონია. ამას ამტკიცეს თუნდა იმავე ნათამდის სიტყვა: რა უნდა გააკეთონ მშობლებმა პედაგოგიურ საბჭოში, მარტო „ფიზიკურად იღებდნენ მონაწილეობასაო“ (физическое участие) და სთქვან ხოლმე: ჰო, თუ არაო?!

ასეთი ცინიზმით მოპყრობა მშობლებთან სხვა არ იყოს რა უხერხულია იმ ახალგაზრდა მასწავლებლისაგან რომელიც მოწადინებულია (?) მომავალშიაც ადგეს არჩეულ საქმეს და რომელსაც ეს გალანძღული მშობლები აბარებენ თავიანთ შვილებს.

მერე მთელი ღრმა აზროვანი სიტყვა წარმოთქმული იყო ქართულ გიმნაზიაში, ქარვეულ მასწავლებლისაგან—რუსულად, იმისდა მიუხედავად, რომ რამდენჯერმე სთხოვეს: ქართულადა ბრძანეთ, ზოგს არ გვესმის რუსულიო. ასეთი „უტყუარი“ საბუთების შემდეგ მშობელთა წინააღმდეგ, კრებამ თითქმის ერთხმად უარჰყო პედაგოგიურ საბჭოს და გამგე კომიტეტის დიდგენილება და მშობელთა წრეს მიენიჭა ხმის უფლება, ისევე როგორც სხვა გიმნაზიებშიაც.

როგორც შემდეგ გავიგეთ, პედაგოგიურ საბჭოს და გამგე კომიტეტის რეზოლიუცია მშობელთა წრის შესახებ, რომელიც უკუაგდო საზოგადო კრებამ, გამოტანილი ყოფილა სხდომაზედ **ერთი** ხმის უმეტესობით.

მეორე საკითხი იყო — მეოთხე მოსამზადებელ განყოფილების გახსნა. ჟუმცა პედაგოგიურ საბჭოსა და გამგე კომიტეტს შუა როგორც ეტყობა, დიდი უთანხმოება ყოფილა ამ საკითხზედ, ისე რომ სამოთხ ჯგუფად დაყოფილიყვნენ კიდევ, მაგრამ კრებას წარედგინა ის მოსაზრება, რომ „მეოთხე განყოფილება საჭიროა რუსული ენის უკეთესად დაყენებისათვის“. ამ საგანზედ ორი საათის განმავლობაში ლაპარაკობდა მჭერმეტყველურად რამდენიმე ორატორი, მათ შორის ქართული გიმნაზიის დირექტორიც, და მართლაც, დამსწრეთ, ბ-ნ ლამბაშიძისა არ იყოს, არ იცოდნენ სად იმყოფე-

ბიან: გადამგვარებელთა, თუ გადამგვარებულთა ბანაკ-ში. ქართულ გიმნაზიაში სწყდებოდა საკითხი, როგორ უკეთესად გაარუსონ ბავშვები; ის ბავშვები, რომელთაც, ბ-ნ ჯავახიშვილის გამოკვლევით, უმაღლეს სასწავლებელში გადასვლისას, ათასიდან, მართო ოცდაათა იცის ქართული. ქართული გიმნაზიიდან ვერ გამოდიან ქართულის მკოდნენი, ქართულად მოაზრენი, ქართულად მოანგარიშენი და ერთი ყოფილი პედაგოგი ამ გიმნაზიისა და აწ ყოფილი გამგეობის წევრიც, გვეუბნებოდა: ჩვენ ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, რომ რუსულად აზროვნობდნენა.

რუსეთმა თავისი დალი დაგვასვა და აწ თამამად შეუძლიან რუსიფიკატორობაზე ხელი აიღოს, რადგან შინაკაცი უფრო ადვილად მოსპობს თავის ენას და აზროვნებასაც, ვიდრე უცხო, გარეშე.

ზოგი რჩეობდა მეოთხე განყოფილების გახსნის მაგიერ, პირველი განყოფილების პირველ ნახევარ წლიდანვე დაეწყათ რუსული ენის, ან რუსულ ენაზედ სასწავლებელი გაკვეთილები, ზოგი... და ამათში გაშავებული ბაქრაძეც: რუსული ენის მასწავლებელთა გაუმჯობესებას, რადგან ყველამ იცის, რომ ქაჩალი კარგი ექიმი იყოს, თავის თავს უშველიდაო. ერთი სიტყვით, თავის მტვრევა იმაზედ იყო ქართულ სკოლასა და საზოგადოებაში, თუ რა ზომებით გავარუსებთ უკეთესად მოწაფეებსაო.

კრებამ ამ საკითხებშიაც თითქმის უნდობლობა განუცხადა პედაგოგებს და გადასწყვიტა არჩევა კომისიისა, რომელიც საზოგადოთ გამოიკვლევდეს სკოლის მდგომარეობას და ამ საკითხის აღძვრის მიზეზსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეოთხე განყოფილების ავტორები, სხვათაშორის იმასაც ამბობდნენ, რომ ამ განყოფილებაზედ ფული არ დაიხარჯებო მეთი, რადგან თვითონ ანაზღაურებსო, შეგირდების სწავლის ფასით. ასეთი ზღაპრები ბევრი გაუგონია ქართველ საზოგადოებას, როცა რამე ქართული საქმე იწყობა, მაგრამ თვით სათავად-აზნაურო სკოლის ხელმძღვანელნი ყოველ წლივ ამტკიცებენ და ჩივიან რომ, რამდენიც უნდა ჩაყაროს თავად აზნაურობამ აწ არსებულ სკოლასაც, მაინც ვერ აუვა და თუ კიდევ წაუშატებენ კლასებს, მაშინ მეთი საბუთი ექნებათ იყვირონ: რასა ბრძანებთ, ამოდენა სკოლა, ამოდენა მოწაფეები და ნუთუ არ უნდა გაგვიხადოს თავად-აზნაურობამ მიცემული სუფსიდა 150,000 მან. მაინც, რასაც უეჭველია სულ ახლო მომავალში ექნება აღვილი.

შემდეგ აღძრული იყო საკითხი ქალთა სკოლაზედ, რომელის მომავალი გეგმა შეიმუშავა საგანგებო კომისიამ. ჩვენ არ შეუდგებით ამ გეგმის კრიტიკას, რადგან მას დაკვირვებით გაცნობა სჭირია და არა ისე ზერელე წაკითხვა, როგორც ეს მოხდა კრებაზედ, მაგრამ არ შეიძლება ეხლავე არ აღინიშნოს, რომ პროგრამმა იმაზედ ფართოა, რისაც ჩვეულებრივ შეთვისება შეუძლიანთ მოსწავლე ქალებს.

კრებამ სასურველად სცნო სწორედ ამ გეგმის მიღება... რადგან მასზედ მსჯელობა თითქმის არა ყოფილა. ჩვენ მოვისმინეთ მხოლოდ ფანტასტიური პლანები ბ-ნ ვ. რცხილაძისა, თუ რა კარგი იქნებოდა, რომ თავად-აზნაურობამ საბურთალოს მიწები დაუთმოს საშუალო-სამეურნეო სკოლას, რომელსაც დასჭირდება არც მეტი, არც ნაკლები, როგორც.... სამოცი ათასი თუმანი ერთდროულად და სამოციათასი მანეთი ყოველ წლიურად.

კრებაზედ იყო ასეთი შემთხვევა: ქალთა გიმნაზიის გამგისათვის, რომელიც ორას თუმნამდის იღებს ჯამაგირს, მოითხოვეს ჯამაგირის მომატება. ამაზედ, რასაკვირველია წაახალისეს ვაჟთა გიმნაზიის ხელმძღვანელებმა, მაგრამ მაინც საქირო იყო თავდაჭერა. მგონი მთელ საქართველოში არ მოიძებნება ისეთი ქალი, რომელიც ორას თუმნამდის იღებდეს ჯამაგირს და ლაპარაკი მომატებაზედ, მერე ისეთ სკოლაში, რომელსაც ქველ-მოქმედებით ინახავენ, ცოტა არ იყოს უხერხულია. ამ ქამად, ჩვეულებრივ გულუხვმა საზოგადოებამ, უარი განაცხადა ასეთს მომატებაზედ.

თითქმის ყველა საკითხის გადაწყვეტიდან, ამნაირადა სჩანს, რომ საზოგადოება გულისყურით მოექცა სკოლის საქმეს, დაინტერესდა მისი ბედით, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიუგნია იმ გზისათვის, რომელსაც შეეძლოს საქმის მთლად გამობრუნება.

იქნება ჩვენცა ვცდებოდეთ, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ახლო მომავალში საჭირო იქნება გაუმჯობესებათა ასეთი სისტემის დაცვა 1) შეიცვალოს სისტემა გამგეობისა: გამგე კომიტეტი გაყოფილი უნდა იყოს ორ დამოუკიდებელ ნაწილად: ერთი განაგებდეს სკოლის **შენობის** საქმეს; მეორე ხელმძღვანელობდეს სკოლას, როგორც სასწავლებელს. 2) მკაფიოდ განსაზღვრული იყოს ფუნქციები ყველა ორგანოებისა და 3) გაუმჯობესებული იყოს როგორც პედაგოგთა, ისე ადმინისტრატორთა წრე. უკანასკნელი უნდა დაიწყებოდეს ბ-ნ დირექტორიდან, რადგან ამას ყველა

ერთიანობა გრძნობს და ფიქრობს, თუმცა კრებებზედ ისე ნათლად არა სჩანს ხოლმე, საით მიილტვიან ისრები.

შეიძლება ეს სქემა გაუმჯობესდეს, გაფართოვდეს უფრო, მაგრამ, ჩვენის აზრით, მისი ძირითადი მხარეები საფუძვლად უნდა დაედოს იმ სკოლის საქმის მოგვარებას სადაც იზრდება ჩვენი ახალი თაობა.

*
**

პარტიული თუთიყუშები

(სადღესობა)

გავიგონიათ როდისმე ერთ საბრალო თუთიყუშის ამბავი? არა? ან იქნებ კიდევ გაიგონეთ, მაგრამ დაგავიწყდათ? თუ ესეა, კარგი, მე გავახსენებ, მკითხველო:

ერთ ინდოელ მოგზაურს ჰყავდა გაწვრთნილი თუთიყუში, რომელსაც თუნდა ჩვენებურ სახელ „მათიკოთი“ მოვინათლავ. ამ თუთიყუშს უთავბოლო უბედობის დროს განსაკუთრებით უყვარდა ერთი ფრაზის განმეორება: „მათიკო ბედნიერია... მათიკო ბედნიერია...“ მართლაც, ბედნიერი იყო უღარდელი მათიკო, რადგან ასეთი უბედობისთვის პატარანი ჯილდოდ აძლევდა ხან თხილს, ხან შაქარს, ან სხვა რამ ტკბილეულს. მაგრამ რომელი ბედნიერება დაუსრულებელი? ინდოელის თუთიყუშსაც ერთხელაც არის უნდა უბედურება სწევოდა. მართლაც, ეს ასე მოხდა: ერთ საღამოს ჩვენს მოგზაურს ღამის თევა მოუხდა ერთი გლეხის სახლში (შესაძლებელია, თავადის სახლშიც, მაგრამ თქმულება გლეხს ახსენებს). თუთიყუში მიაბინავა, შემდეგ ივანშმა და დაიძინა. არ ვიცი რატომ, (ამას ისევ იგივე თქმულება ამბობს) თუთიყუშს რატომღაც არაფრად ესიამოვნა ნაადრევად ძილი, წამობაჯბაჯდა, ხარხიდან გადაფრინდ-გადმოფრინდა და თავისებურად მოჰყვა უბედობით თავის შექცევას. მაგრამ შეხედეთ მის პირქუშ ბედს! უცაბედათ სანათს ფრთა შემოჰკრა და ცეცხლი მოეკიდა. შემფრთხალმა მათიკომ იგრძნო საშინელება და გამწარებით დაიწყო ძახილი: „მათიკო ბედნიერია... მათიკო ბედნიერია...!“ მოგზაურს ყურიც არ გაუბერტყნია: შეჩვეული იყო მის ამგვარს უბედობას და ამიტომაც უღარდელად ძილს განაგრძობდა. ამასობაში კი საბრალო თუთიყუში საცოდავად დაფართხალობდა

და უკანასკნელ სულის ამოსვლამდე არ შეუწყვეტია ძახილი: „მათიკო ბედნიერია... მათიკო ბედნიერია...!“

ნეტარ არიან მორწმუნენი...

მაგრამ, მკითხველო, ჩვენ კარგად გვესმის, რამდენად „ბედნიერი“ იყო ინდოელის თუთიყუში ილიმებით, განა? მაგრამ აჩქარდით! ზოითმინეთ, პატარა ზოითმინეთ, თვალი გადაავლეთ ჩვენს სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას, რამდენ თუთიყუშს მოჰკრავთ თვალსა, რამდენი პარტიული თუთიყუში გაიძახის „ბედნიერია მათიკო... მათიკო ბედნიერია...“, მაშინ როდესაც თავით ბოლომდე ცეცხლის აღშია გახვეული! მართალია, ხომ, თქვენი ღიმილი შეიცვალა... შუბლი ანაოქდა... ღრუბელი გეფინებათ... ეს სიზმარია... რაღაცა დაუჯერებელი სანახაობა... საშინელებათა საშინელება... ხომ...? თქვენ ოფლს იწურავთ... ფანტასმაგორიად გეჩვენებათ ეს სინამდვილე... აგერ, სასოწარკვეთილებამაც კი მოგიცვათ და რუსთაველის შემკრთალ ვეზირის მოწიწებით მოახსენებ როსტევიან — საქართველოს ბედს: დიახ, მართალია, მართალია:

„...მზე აღარ მზეგობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად...!“

მართლაც, რომელ მზეს შეუძლიან გაუცინოს იმ ქვეყანას, სადაც მამულიშვილთა წმიდა საფლავებზე მათი შვილები დავლურს უვლიან?

რომელ მზეს შეუძლიან დარი ახაროს იმ ქვეყანას, სადაც ერის დიდებას თვითვე ჰკლავენ, სადაც აღარ არსებობს სინიდისის მხილება, პატიოსნება? რომელ მზეს შეუძლიან იმ ქვეყნის აღორძინება და გასხივოსნება, სადაც უგუნური გატაცებით ლევა ღრუბლებში დაქვანაობთ იკაროსის ფრთებით და გავიწყდება სინამდვილე, თუ აქ... დაბლა... სამშობლოს გულში როგორ ჰლახავენ ჩვენს ეროვნულს თავმოყვარეობას!..

თუ აქ... დაბლა... სამშობლო გულში ქირი, შიმშილი მძინვარებით როგორ ჰშლის ფრთებსა!.. თუ აქ... დაბლა... სამშობლო გულში როგორ ერეკებიან ჩვენს სოფლებს... ხდება დარბევა... თუ აქ... დაბლა... სამშობლო გულში... მაგრამ რა სამშობლო, რის სამშობლოს გული?

საქმე ქვეყნიერება!..
საქმე საერთაშორისო სამშობლო...
omni patria...
თუ არ ვუშველეთ, დაილუპება საფრანგეთი...

მას გერმანია მიჰყვება... ინგლისი... შორს ამერიკა...

აშურიანი... ტირიფონა კი, ეს საუკეთესო ეტაპებია... უკედ, სინონიმები ჩვენი... გაპროლეტარებისა... საერთაშორისო გათქვეფისა...

საერთაშორისო გაქრობისა...

მაშ რის სამშობლო, რის ტირიფონა?

ვიბრძოლოთ გარეუღლებისთვის...

ვიბრძოლოთ შორეულებისთვის...

იქ... შორეულ აღმოსავლეთში...

იქ... აფრიკის გულში...

იქ... თეთრ-შავ-წითელ კანიანებისთვის...

იქ... ტუნდრებში...

ვიბრძოლოთ ჩუვაშებ-სამოედ-მნაცაკანიანცუბისთვის...

უჩვენოთ ვერ იარსებებს ჩინეთის რესპუბლიკა...

ფრანგთა პარლამენტი...

ლორდთა პალატა...

მაშ რის ქართველობა, რა ქართველობა!

რომელი სამშობლო.

რომელი ილია.

რომელი ყიფიანი?..

საქმე პროლეტარიატია...

საქმე გათქვეფაა...

უსახიერო სახება...

უსახილო სახელწოდება...

ან რომელი ილია და დიმიტრი ყიფიანი წარუდგება გუშინდელ მოკლულს ან ციხეში ამომწყვდეულ ამხანაგ გოგიელას, მოთარეშე სედრაკას, ბრუციან არშაკას, საქო-არაქელას, მათგან ჩვენი ხალხის რბევა და ქელვას...

შორეულისთვის...

ერთმანეთში ათქვეფისთვის...

ბედნიერები ვართ... ბედნიერები..!

აი, ჩვენებურ თუთიყუშების ყოველ-დღიური façon de parler!

აი, მათი ყოველ დღიური façon d'agir, ამ საზოგადო ცეცხლის მოკიდების დროს!

მაშ რომელი მზე გავგათბობს, რომელი მზე?..

ჩემო სამშობლო, შენს ტურფა კიდებზე შორიდან ვჭვრეტ ზევსური სიდარბაისლით მოდუდუნე მტკვარს, ალაზანს, რიონს თუ გიჟურად მოთამაშე არაგვის ზვირთებს, მაგრამ რა, ეჭა; სად კმარა, სად მათი ზვირთები, თუნდა სულ მთლად შენანების ცრემლად ვაქციოთ, რომ ჩამოვირეცხოთ ის სირცხვილი, რომელსაც დიდი ხანი

ჩვენი პოლიტიკური მოპარტიე თუთიყუშებისაგან განვიცდით! მაგრამ იქნებ განგებ აუცილებელიც იყოს ეს დანტესებული ჯოჯოხეთის კარის ბჭის გავლა, რომ შენი სამოთხის მშვენიერება უფრო მეტად მოგვწყურდეს! იქნებ ამგვარ თუთიყუშებმა უფრო დაგვაშუროს შენი შეილნი შენს ბედნიერების საძიებლად...

იქნებ... იქნებ..!

დ. კასრაძე.

ქართველები აჭყარეს-ქართველებსა ჰყრიან!

...გომარეთიდან წალკისაკენ გავემგზავრეთ, შევსხედით ჯაგლაგ ცხენებზედ და გავსწით ჩაქჩაქით სოფ. ბარმაქსიზისაკენ.

ცხენების პატრონი თან გამოგვყვა ტყაბუქში გახვეული და ბევრი რამ გვიამბო გზაში; უფრო კი თაყიანთ უბედურობაზედ გველაპარაკებოდა: რაც სტიკია გლენსა იმას ამბობს. როდესაც გლენის ტკივილებს შეეხები, ისიც არაფერს დაგიმალავს, გადაგიხსნის თავის დამდურებულს გულს და ყველაფერს მოგითქვამს.

მან გვიამბო სოფლის მოხელეების მოქმედება, დაუსრულებელი ხარჯების მოკრეფა; სად მიდის, ან რაში იხარჯება, არავინ უწყის; ღარიბს უფრო გვერვიან ხარჯების გაწერაში და სხვა.

სხვათაშორის გომარეთის სკოლის შენობისათვის მოკრიფეს ფულად ასი თუმანი, მასალა რაც დასჭირდა შენობისთვის, ჩვენ მივზიდეთ და შენობა კი უვარგისი ააშენეს.

— აი, ამისთანა ამბები ხდება ჩვენში, პატრონი არავინა გვყავს, რომ ჩვენი მოკრეფილი ხარჯები მოხმარდეს საქმეს, დააბოლოვა გზის მაჩვენებელმა.

მივადექით ჭოჭიანის მიდამოებს; იგი წარმოადგენს ხევ-ხუვს, რომელიც ძირს უფსკრულში მიეკანება. ჭოჭიანის წყალი ერთვის მდ. ხრამს.

ეს ჭოჭიანის ხევ-ხუვი ეკუთვნის გომარელებს; ჩამოვედით ცხენებიდან და ჩავიარეთ მიხვეულ-მოხვეული თავდაღმართი მდ. ჭოჭიანამდის, გავედით აქაფებულ წყალში.

წყალ-გაღმა იწყობა გერმანელების—ახალშენის ალექსანდერსგილფის მამულები.

ჩვენმა ტყაპუქიანმა გზის მაჩვენებელმა ძველ ნავაურზედ შეგვაბრუნა, რომ ეჩვენებინა იმ ქართველების ნასახლარები, რომელნიც ამ ოცი წლის წინად მართველობამ აპყარა—სოფ. ედიშერაანთუბანი 16 კომლი—და მათი მამული გადასცა გერმანელეს ალექსანდერსგილფის ახალშენს.

ავედით მაღლა იმ ადგილას, სადაც ედიშერას სოფელს წყარო ჰქონია აშენებული. წყარო ისევ არის ქვიტკირით ნაშენი. გავიარეთ პატარა ზემოთ კიდევე, სადაც ეტყობა ნასახლარები და კიდევე მოხანს დამპალი ხის გომური.

ამ ნასახლარებში გერმანელებს ბოსტანი გაუშენებიათ, ესე იგი, იმ კედლებს შუა, რომლებშიაც ედიშერელები ბინადრობდნენ.

აქვე არის ძველი დანგრეული ეკლესია; მანამ ედიშერელები სცხოვრობდნენ, აქ ეკლესია განახლებული იყო და წირვა-ლოცვა სწარმოებდა, ესენი აპყარეს თუ არა, ეკლესიას, რაც ძვირფასი რამ ჰქონდა, ჩუქურთმები, კუნჭულის ქვები, ან სარკმელისა თუ კარების ქვები, ყველა გამოუღიათ, თალიც გადაუნგრევიათ გერმანელებს და თავის ახლად აშენებულ სობოროსათვის და წყაროსათვის მოუხმარებიათ.

გავცდით ნასახლარებს და ედიშერელების ყოფილ საუკეთესო სახნავ მამულებზედ გავიარეთ. მთლად ქოქიანთ ხევსა და ხრამს შუა რაც მამულია, ეკუთვნოდა ედიშერელებს.

როდესაც 1858 წ. დასახლეს გერმანელები, სადაც ეხლა ახალშენი ალექსანდერსგილფია, ეს მამული მათ არ იმყოფინეს და მოითხოვეს ედიშერელების მამულიც, როგორც სახაზინო მამული, — მათაც შეუსრულდათ თხოვნა, აპყარეს ეს 16 კომლი ქართველი და ჩაუსახლეს მამულში გომარელებს სოფ. კაკლიანში.

მიუვახლოვდით გერმანელების ახალშენს ალექსანდერსგილფს. მაღლობზედ ხრამის პირას მდებარეობს, ძირს ვიწრო ხეობაში მიშხუის ხრამი და მიაგორებს დიდ ლოდებს (ხრამი ლიახვის ოდენა იქნება) ბარომეტრი ალექსანდერსგილფის იმალღეს გვიჩვენებდა შავი ზღვის პირის თანაბრად 2488 მეტრსა. მანამ ახალშენში მივიდოდით, მყუდრო ადგილს საერთოდ გაშენებული ჰქონიათ ხილის ბაღი.

ახალშენის პირას საბოსტნეებია გაშენებული, შიგ ქალები — კარგად ჩაცმულნი — კისკისით და ხარხარით ბოსტანს ხალისით სთოხნიან.

დიდი დმანისის აქეთ მხოლოდ აქა ვხედავთ ხეილის ბაღსა.

ალექსანდერსგილფი კარგა მოზრდილი ახალშენია, დაბას წარმოადგენს, 80 კომლი ითვლება, შენობები უფრო საუკეთესოა, ვიდრე ეკატერინოფელდში. სობოროც უკეთესია — ახლად აშენებული; სობოროსთან ახლო წყაროა გამოყვანილი, თლილი ქვის აუზებით. ქუჩებით დაყოფილი ახალშენი ლამაზია.

ყველა კმაყოფილია და სიღარიბეს აქ ვერ ნახავთ.

აქ არსებობს ყველის ქარხანაც.

გერმანელებს მოჯამაგირებელად ჰყავთ ქართველები, თათრები და სხვ. აქ მუშაობა ცხენებით სწარმოებს; — მდ. ხრამიდან ხე-ტყის მასალას ზიდვენ, ხერხავენ და ბოჩკის ფიცარსა ხდიან.

აქედან აღმოსავლეთისკენ რვა ვერსის სიშორეზედ მდ. ხრამის გაღმა მდებარეობს ხევზედ, რომელიც ერთვის მდ. ხრამს, სოფ. კლდეისი. ეს სოფელი თუმცა თბილისის მაზრის რაიონშია, მაგრამ ბარმაქსიზის სამამასახლისო საზოგადოებაშია შერიცხული. 30 კომლამდის ითვლება, ქართველები არიან და სცხოვრობენ კნენა ბარათაშვილის მამულზედ. ისინი ხიზნებად ითვლებოდნენ, მაგრამ დღეს მოიჯარადრებელად არიან გადაქცეულნი და გერმანელ მოურავის ხელში ჩაცვივდნენ.

წინად ბარათაშვილის სასარგებლოდ კლდეისელები საიჯარო გადასახადს ყოველ წლივ იხდიდნენ ორას მანეთს, დღეს გერმანელი მოურავის მეცადინეობით კლდეისელებს საიჯარო გადასახადი აწუწულია 800 მან. გლეხებმა მიუგზავნეს კნენა ბარათაშვილისას, რომ მამული მიეყიდნა, მაგრამ უარი მიიღეს — მამულს არა ვყიდო.

კლდეისელები მოთმინებიდან გამოსულნი და წყალ წალბებულნი ხავსს ექიდებიან — ყველამ გულიდან ამოიღო თავისი სამშობლო, თავისი ოფლით და სისხლით გაპოხიერებულ მამულს გასცლოდა, აპყვენ წალკისელების ბერძნების ტაღლას და მათთან ერთად მოიფიქრეს გადასახლება საბერძნეთში; შესაფერი თხოვნა მიართვეს საბერძნეთის კონსულს თბილისში, სადაც სთხოვდნენ, რომ ჩვენც ვუერთდებით წალკის ბერძნებს, რომ ჩვენი მამა-პაპანი საბერძნეთიდან არიან გადმოსულნი და გსვურს იქ გადასახლება, გთხოვთ შუამდგომლობა გავვიწიოთ საბერძნეთის მთავრობასთან, რომ ჩვენც მოგვცენ იქ დასახლებლად ალაგები.

აწერენ გვარებს ბერძნულის დაბოლოვებით, ესე იგი, გოჩიტაშვილიადის, ოქროპირიძეადის, კალატოზიადი და სხვ.

საბერძნეთის კონსულმა უპასუხა მათ, რომ მოითმინეთ ჯერჯერობით და თავის დროზედ შეგატყობინებთო. კლდეისელებმა უკვე ყველამ აიღეს პასპორტებიც.

რა იციან იმ მემამულეებმა გლეხების გაქირვება, რომელნიც თითონ არ განაგებენ და მათი მამული მოურავების ხელშია? ან რა უცოდნეობათ მათ, რომელნიც საზღვარ-გარედ სხვა და სხვა კურორტებში დასეირნობენ და მოურავებს უთვლიან, ჩქარა ფული მოგვაშველეო!

მგონი მათვის სულ ერთია, ვინც უნდა ესახლებოდეს მათ მამულში, ოღონდ საიჯარო გადასახადი მეტი მიიღონ. ქართველი გლეხები მათ ყაჩაღებად და ავაზაკებად მიაჩნიათ და აკი კიდევ ერეკებიან სამშობლო ადგილებიდან.

ღიან, დიდათ სამწუხარო ამბავია იმ დროს, როდესაც ჩვენი კნენები ბალებს მართავენ ახალ-კლუბში მათი მოურავები კი გლეხებს ავიწროებენ და ძალაუნებურად უცხო მხარეს უნდა გადაიხვეწნენ!

Legatus.

პარიზელის წერილი

ქართველთა ცხოვრებასა და მოქმედებას ახალი შინაარსი მიეცა. მშრალი სიტყვებისა და ერთმანეთის ქამობის მაგიერ — დღეს ბევრი ქართველი შინაარსიან საქმეს ეძებს. ეს ისე არა სჩანს, როგორც საქირაა, მაგრამ თვითიული ჩვენთავანი გრძობს, რომ ჩვენი ცხოვრება სულ სხვაგვარად მიმდინარეობს, ვიდრე წინად. თვით ის ქართველებიც-კი, რომლებიც ევროპისაკენ წამოსულან რაიმე მიზნის განსახორციელებლად, ძველებურად აღარ ეტანებიან იმ მშრალი „მეცნიერების“ შესწავლას, რომლის აღფა და ომეგა ცარიელ-სიტყვაობაა. ამჟამად, ჩვენი თანამემამულენი სდგანან სრულიად გარეშე იმ წრებისა, რომელთათვის სიტყვა ერთია და საქმე მეორე, ე. ი. რომელთათვის საქმის გაკეთება შეიძლება მხოლოდ უარპყოფითი გრძობებით და მათთვისაც გაუგებარი ფრაზებით. ისინი აღარ ეკარებიან ამ წრებს, გარდა ორი-სამი „ავადმყოფობით“ შეპყრობილი ახალგაზრდისა, რომლებიც შეუძლებლად სცნობენ მათთვის ცხოვრებას, თუ ყოველივე მიტინგს არ დაესწრნენ და ყოველივე მიტინგზე რაიმე გენიალური სისულელე არ წარმოსთქვს.

ქართველთა დიდი უმრავლესობა დღეს სამშობლოზე ჰფიქრობს. ყოველივე მისი სიხარული

ან უბედურება მათზედაც იჩენს თავს. განსაკუთრებით „ტირიფონის საკითხმა“ და მის მიერ გამოწვეულმა შიშმა საგონებელში ჩააგდო აქაური ქართველები. იმისდა-მიუხედავად რომ მათ არც ფართო ნაცნობობა აქვთ აქაურ პოლიტიკურ წრებთან, რომ მათ არც მატერიალური შეძლება აქვთ აქაური პრესა აალაპარაკონ, — ყველაფრის ამისა და მიუხედავად, მათ დიდი ლაპარაკი გამოიწვიეს საფრანგეთისა და საერთოდ ევროპის პრესაში იმ უბედურების გამო, რომელიც ოციათას გლეხს მოელის საქართველოში. მათ დააარსეს წარჩინებულ ფრანგთა დახმარებით „საქართველოს უფლებათა დამცველი ლიგა“, რომელმაც გამოაცხადა მკაცრი პროტესტი ჩვენი გლეხების განდევნის წინააღმდეგ სამშობლო მიწა-წყლიდან; ეს პროტესტი ტელეგრამით დაეგზავნათ რუსეთისა, გერმანიისა, ინგლისისა და იტალიის დიდს გაზეთებს. საფრანგეთის პრესამ მხარი დაუჭირა, და გაზეთმა „Humanité“ მ უკვე უძღვნა საქართველოს ვრცელი წერილი, რომელიც გაზეთის პირველ გვერდზე იყო მოთავსებული. გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მაქს ნორდაუ დიდი თანაგრძნობით მოეკიდა ჩვენს საქმეს, აგრეღვე „ადამიანისა და მოქალაქის დამცველი ლიგა“. როგორც გავიგეთ, ლიგას აზრად აქვს ახლო მომავალში წერილით მიმართოს საფრანგეთის პარლამენტის და სენატის წევრთ. ამას გარდა მას სურს მოახდინოს დიდი მიტინგი ანატოლ ფრანსისა და პიერ ლოტის მონაწილეობით.

როგორც ხედავთ, პარიზის ქართველობა, სამშობლოს ჩამოშორებული, მაინც მასზე ფიქრობს. შეიძლება ბევრი რამ გაკეთდეს ისეთი, რაიცა დაგვახლოვებს ევროპასთან და შეძლებას მოგვცემს ევროპის საზოგადოებრივი აზრი დავიმეგობროთ. თუ საქართველოშიაც არ დაიშურეს მათი დახმარება, ახლად დაარსებული ლიგა ბევრის გაკეთებას შესძლებს ამ მხრივ. მხოლოდ საქირაა, რომ ქართველმა საზოგადოებამ თვისი თანაგრძნობით და ნდობით ლიგის მოქმედება უფრო ფართო და ლონიერი გახადოს.

3. ლ - ძე.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირულ საზოგადო-ეკონომიკურ

და სალიბერატურო ჟურნალ

„კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით	3 მან.
	6 თვით	2 მან.
	3 თვით	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ყოველდღიური საკოლიტიკო და სალიბერატურო გაზეთი

„ი მ ე რ ე თ ი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით—80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

ადრესი: Кутаисъ, редакция газ „Имерети“.

1894 წლიდან

1914 წლამდის

ს ა უ კ ე თ ე ს ო დ ვ ი ნ ო დ ი თ ვ ლ ე ბ ა დ ვ ი ნ ო

საზოგადოება „კ ა ხ ე თ ი“-სა

ტელეფონი: № 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63 და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათოში, რასტოვში და სხ.